

23-27 აპრილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფ. პაატა კერვალიშვილმა საბერძნეთის პირეუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სტუდენტებს წაუკითხა ლექციების კურსი ფიზიკური ინფორმატიკის მიმართულებით.

ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორმა ბერძნული უნივერსიტეტის საინჟინრო სკოლაში ლექციები წაიკითხა Erasmus+ პროგრამის KA107 გაცვლითი პროექტის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობს სტუ და რომლის კოორდინატორია პირეუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

ცნობილმა ქართველმა პროფესორმა საინჟინრო სკოლის კომპიუტერული სისტემების დეპარტამენტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ბერძენ და უცხოელ სტუდენტებს (დანია, პოლონეთი, მოლდავეთი და სხვ.) ჩაუტარა ლექციები ფიზიკური ინფორმატიკის მიმართულებით, მათ შორის განხილული იქნა კვანტური ინფორმაციის თეორიის შესავალი და კვანტური ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების საკითხები.

სწავლების მიზნით ერაზმუს+ მობილობის ფარგლებში ქართველი მეცნიერი, ასევე, შეხვდა პირეუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის პრეზიდენტს, პროფ. ლაზაროს ვრიზიდისს და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. სამუშაო შეხვედრებზე დაიგეგმა ახალი ერთობლივი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროექტის მომზადება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ჰორიზონტ 2020 პროგრამის ფარგლებში. პროექტის სავარაუდო დასახელებაა: მაღალეფექტური ნეიტრონული სენსორული სისტემების განვითარება სილიციუმ-ბორ-გრაფენის საფუძველზე.



სურ. 1. პ. კერვალიშვილი ბერძენ კოლეგებთან ერთად. მარცხნიდან მარჯვნივ პროფესორები: პანაიოტის იანაკოპულოსი, დიმიტრის ცელესი და დიმიტრის ნიკოლოპულოსი



სურ. 2. ერთ-ერთი ლექციის დროს.



სურ. 3. პირეუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის პრეზიდენტი პროფ. ლაზაროს ვრიზიდისი და პროფ. პ. კერვალიშვილი